ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება № 56-47

"3" აპრილი 2020 წ.

ქ. თბილისი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის N52-10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და ,,ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისა, ქალაქ თქბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის N52-10 დადგენილებაში (ვებგვერდი www.matsne.gov.ge , გამოქვეყნების თარიღი 28/01/2020, სარეგისტრაციო კოდი 010250050.35.101.016678) და დადგენილების

პირველი მუხლის „გ" პუნქტით დამტკიცებული „აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის განხორციელების წესის" (დანართი N3) მე-10 მუხლის:

ა) მე-2 პუნქტის შემდეგ, დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3 პუნქტი:

„3. ქვეპროგრამის განმახორციელებელი უფლებამოსილია 2020 წლის მარტსა და აპრილში მიმწოდებლის სტატუსის მქონე დაწესებულებებზე, ამავე თვეებში ქვეპროგრამის ფარგლებში დასაქმებული პირების შრომითი ანაზღაურების გაცემისათვის ავანსის სახით გასცეს 2020 წლის თებერვალში, წესის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ასანაზღაურებელი შემთხვევების ფულადი ოდენობის 100%."

ბ) მე-3 პუნქტის შემდეგ, დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-4 პუნქტი:

„4. 2020 წლის მარტსა და აპრილში ავანსის სახით მიღებული თანხის მოცულობის შესაბამისად, ქვეპროგრამის მიმწოდებელი ვალდებულია, ქვეპროგრამის მოსარგებლეებს გაუწიოს წესით გათვალისწინებული მომსახურება ქვეპროგრამის განმახორციელებელთან შეთანხმებით.“

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**